# სახალხო გაზეთი

№ 528 შაბათი, 18 თებერვალი 1912 წ. № 528

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილის-ში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ტელეფონი № 12-29.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამით ვაცხადებთ, რომ

**„სახალხო გაზეთის“**

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის“ კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

ისურათებიანი დამატება!

მიიღება ხელის-მოწერა

**წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს გრდემლს.**

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან,** მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.

შვილები ევგენი და ალექსანდრე ავთანდილის ძენი ბაგრატოვები და და პელაგია ნიკოლოზის ასული სავანელისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

**ნინო** ნიკოლოზის ასულის **ბაგრატოვისას.**

პანაშვიდი 18 თებერვალს, დილის 11 ს. და საღამოს 7 ს. წირვა და დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე კვირას, 19 თებერ., 1 დუმანოვის ქ., 6. სახლი მალხაზოვისა. (1—247—1)

## ქართული თეატრი

შაბათს, 18 თებერვალს,

საზღვარ-გარეთ გამგზავრების წინ **მხატვარი კოტე ქავთარაძე** ჰმართავს

= გამოსათხოვარ საღამოს =

შემდეგის პროგრამით:

I) ტფილისში პირველად დაიდგმება რუსულად 3 მოქმედებიანი ოპერეტკა **მ. გ. იარონისა** და **ვ. კ. ტრავსკისა,** მუსიკა **პერპინოლისა:**

**ტ უ რ ფ ა ა ს უ ლ ნ ი** მსუბუქი და მხიბლავი მუსიკა წარმტაცის შინაარსით.

**მონაწილეობენ** ქ-ნნი: პრესინსკისა და ტომილინისა, ბ-ნნი: ვალერიანოვი, დავიდოვი, ევგენიევ-მანინი.

რეჟისორი **ვ. ევგენიევ-მანინი,** დირიჟორი **პ. პ. ფალიაშვილი**

II) პირველად ტფილისში:

**„ღამე ქორწილის შემდეგ“** ოპერეტკა ერთ-მოქმედ. კრილოვისა, მუსიკა თ-დ ბეგთაბეგოვისა.

**მონაწილეობენ** ქ-ნნი: პრესინსკისა, ბ-ნნი: ვალერიანოვი და დავიდოვი.

რეჟისორი **ვ. ს. ვალერიანოვი,** დირიჟორი **პ. პ. ფალიაშვილი.**

**დასაწყ. სწორედ საღ. 8 ს.** ბილეთ. ფასი ჩვეულებრივია. ბილეთ. იყიდ. თეატრ. კასაში.

(3—1109—3) გამგე **მხატვარი კ. ქავთარაძე.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **„606“ წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—271)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—92)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

კვირას, 19 თებერვალს,

**ი. გედევანიშვილის** პატივსაცემლად და თანადასწრებით ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება მისივე ცნობილი პიესა;

**მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი,** დრამა 4 მოქმედ.

მონაწილეობას ღებულობენ ქ-ნნი: ამირაჯიბი, ბეჟანიშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი, აბდუშელი, გუნია, გამყრელიძე, ქივიძე, ივანიძე, მატარაძე, შათირიშვილი, ციციშვილი.

ადგილ. ფასი ჩვეულებრივი. **დასაწყ. საღ. 8 ს.** რეჟისორი **ვალ. გუნია.**

**ანონსი.** მზადდება: გამცემელი, ოტელო და სხ. (1—2101—1)

**„ბირჟის“ დარბაზი.** კვირას, 19 თებერვალს,

ქართულ სცენის მოყვარეთა და დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I) **ბატონი და ყმა,** დრამა 3 მოქმ. დადიანისა.
II) **პრიკაშჩიკი შკაფში,** კომედია 1 მოქმ. ცაგარლისა.
III) **დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი.** **მონაწილ.** მიიღებენ ქ-ნნი: კევრიძე, მარგველაშვილი, ბ-ნნი; დ. გიორგობიანი, მოხევე, თვალჭრელიძე, გაგნიძე, გველესიანი, კაპანაძე, სტეფანოვი, ფირიშვილი, ოგანოვი, ჩიშკარიანი, გარსევანიშვილი. ბილეთები იყიდება ბირჟის კასაში. **დასაწყ. საღ. 7½ ს.** გამგე **ი. გარსევანიშვილი.** (2-1 64.)

## ზუბალაშვილის სახალხო სახლი

შაბათს 18 თებერვალს 1912 წ.

**გ. ქუჩიშვილი** ჰმართავს

**სალიტერატურო საღამოს**

1 **მიხეილ წულუკიძე** წაიკითხავს ლექციას **ილ. ჭავჭავაძის „განდეგილ“-ზე**

2 **ილია ნაკაშიძე** წაიკითხავს ლექციას **ქალთა კითხვა.**

**სალიტერატურო განყოფილებაში** წაიკითხავენ თავის ნაწარმოებს ახოსპირელი, აბაშელი, დარია ახველედიანი, დ. ნ. ნახუცრიშვილი, კ. მაყაშვილი, კონსტან-ანდრონი, რ. ბებიაშვილი, ნ. აზიანი, ი. ელეფთერიძე, გრ. დიასამიძე, ს. ფაშალიშვილი, პ. ირეთელი, ნ. ნაკაშიძე, ოლ. ლეჟავა, ნარკანი, კ. ჯაფარიძე, ტრ. რამიშვილი, ნ. ჩხიკვაძე დ. აბდუშელი, გ. ქუჩიშვილი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** (2—216—2)

## ქართული თეატრში

**ორშაბათს, 20 თებერვალს,**

**გამგე-კომიტეტი** ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭ რ ა კ ე რ ვ ი ს სკოლისა ჰმართავს

**ლიტერატურულ-მუსიკალურ-დრამატიულ - საღამოს**

**კნეინა ელისაბედ ირაკლის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანის** თაოსნობით დაწვრილებით აფიშებში. **დასაწყ. საღ. 8½ ს.** (3—2)

**გამოვიდა და იყიდება**

ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების

**წიგნის მაღაზიაში**

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების

**სალიტერატურო კრებული**

**„გ რ დ ე მ ლ ი“**

**ფასი 1 მ. 50 კ.** (თ.1098.9)

## ახალი კლუბი

ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო

სთხოვს ბ. ბ. კლუბის წევრთა და მუდმივ სტუმართა **გვაცნობონ თვისი ადრესები.**

ადრესები შეიძლება დასტოვონ კლუბის შვეიცართან ან კანტორის სახელზე გამოგზანონ. (2—1068—2)

**იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა**

**ა კ ა კ ი-ს**

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:- „კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს -ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.24)

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 237)

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. **№ 18,** თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 106)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. **№ 12 ს.** (9—45).

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mnthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., **№ 39,** ტელეფონი **№ 1067.** (100—1117—98).

**გ ა მ ო ც დ ი ლ მ ა**

## მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო** და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв, 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(т. 1084.90)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 77).

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. **№ 8.** ტელეფონი **№ 695.**

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა 606 -**

(წ.ლ. 1090 274)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №

**ექიმი** დ. სურამში **აპოლონ ლუკას ძე ტყემალაძე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღეს. (თ.—125—5)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., **№ 12.** სახლი მდივნისა.

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, **№ 3.** დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.47).

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. **№ 5.**


## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამას წინად სახელმწიფო სათათბიროში სახალხო განათლების მინისტრის კასოს ნათქვამმა სიტყვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რუსეთის ყველა გაზეთებში შეჰხვდებით ამის თაობაზე გამოთქმულ აზრს.

**„რუსკია ვედომოსტი“** სწერს:

კასოს მიერ თვისი სიტყვის დასაბუთება იმდენად თავისებური იყო, რომ გაოცებას იწვევს, როგორ შეეძლო მისი საჯაროდ წარმოთქმა იმ პირს, რომელსაც იურიდიული განათლება მიუღია, და იურიდიულ მეცნიერებათა პროფესორადაც კი იყო.

„რუსკოე სლოვო“ მინისტრის სიტყვას ძველი აფორიზმით ჰსაზღვრავს „კანონი ყოველთვის ითმენს“ და განაგრძობს:

მრავალ-გვემულ კანონის ამ უსაზღვრო მოთმინებაში მინისტრი ჰხედავს იმ საფუძველს, რომელიც ბოლოს მოუღებს იმ მშფოთვარე მისწრაფებათ, რომელიც საზოგადოებრივ მყუდროებას არღვევსო.

სამწუხაროა, იურისტ-პროფესორს ვგონებთ უნდა სცოდნოდა, რომ კანონით აკრძალულია კანონის ესეთი განმარტება რომელიც იგი უაზრობამდე მიჰყავს.

**„რანეე უტრო“** კასოს სიტყვის გამო სწერს:

უსაზღვრო სასომიხდილობა და ურწმუნოება მოიცავდა ჩვენ არსებას, რომ რუსულ მეცნიერებისა და უმაღლეს სკოლის ხსნა მართლაც მოხელეებისაგან იყოს დამოკიდებულიო.

## სახელმწიფო სათათბირო

დ ე პ ა შ ე ბ ი.

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობდა.**

წაიკითხეს განსახილველ საგანთა სია. სხვათა შორის საკანონმდებლო მოსაზრება 38 წევრისა სამეურნეო და სატყეო ალექსანდრიის ინსტიტუტის თაობაზე. ისინი მოითხოვენ, ინსტიტუტი განათლების სამინისტროს ჩამოერთვას და მიწადმომწყობ სამმართველოს დაექვემდებროს.

მეორე—31 წევრის მოსაზრება ესტლიანდიისა, ლიფლანდიისა დ კურლიანდიის გუბერნებში ერობის შემოღების თაობაზე.

განაგრძობენ ხოლმსის გამოყოფის თაობაზე მსჯელობას. განსახილველია პროექტის მეთერთმეტე განყოფილება. იგი მოითხოვს ხოლმსის გუბერნიაში იმავე კანონებისა და განსაკუთრებულ დებულებათა დატოვებას, რანაირიც პოლონეთის სამეფოში არსებობს და მოქმედებს, ზოგიერთის დამატებით.

განყოფილების პირველი მუხლი ჰლაღადებს: ყველა უფლება დავალდებულებანი, რომელნიც აქამდე ვარშავის გენერალ-გუბერნატორს ჰქონდა დაკისრებული, უნდა გადაეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს და სხვა მინისტრებს.

**მომხსენებელმა ჩიხაჩევმა** ურჩია სათათბიროს, შვიდი მუხლი ერთად განვიხილოთო.

**გრაფი უვაროვი, დიმშა, პარჩევსკი და გარუსევიჩი** აცხადებენ პირველი მუხლი ეწინააღმდეგობა სათათბიროს გუშინდელ გადაწყვეტილებასაო. სათათბირომ უარჰყო ხოლმსის გამოყოფა და, განა, საკანონმდებლო დაწესებულებამ უნდა უარჰყოს ის, რასაც გუშინ ამტკიცებდაო.

**ანტონოვი** ამტკიცებს, გუშინ სათათბრომ მეათე განყოფილება რომ უარჰყო, ხოლმსის გუბერნიის მმართველობის თაობაზე არა გადაუწყვეტია რა და პირველი მუხლი უეჭველად უნდა განვიხილოთო.

**მომხსენებელი და ტიმოშკინი** ანტონოვს მიემხრო. სათათბირომ 136 ხმით 126 წინააღმდეგ (სამმა მონაწილეობა არ მიიღო) ანტონოვის აზრი მოიწონა. გადასწყვიტეს პირველ შვიდი მუხლის ერთად განხილვა.

**პარჩევსკი.** პირველი მუხლი მთავრობის რედაქციისა სჯობიან კომისიისას, მთავრობის რედაქცია ხოლმსის გუბერნიას კიევის გენერალ-გუბერნატორს უქვემდებარებს, კომისიისას კი საავიტაციო ხასიათი აქვს და ბევრს უხერხულობას შეჰქმნისო. ხოლმსის გუბერნიის სამართლის მხრით კიევის სამოსამართლო პალატისადმი დაქვემდებარება უფრო მეტ უხერხულობას გამოიწვევს. კიევი ძალიან შორსაა ხოლმსიდან და სასამართლოში საქმის წარმოე-

ბისათვის ძალიან ბევრი ფული იქნება საჭირო. პარჩევსკის აზრს ამტკიცებენ **გარუსევიჩი და დიმშა.**

**შეჩკოვი.** მოითხოვს, არამც თუ ხოლმსი, არამედ მთლად ვისლის მხარეც საერთო მართვა-გამგეობის წესებს დაექვემდებაროსო.

**იუსტიციის მინისტრის თანაშემწე ვერდოვკინი,** ხოლმსის გუბერნიაში განსაკუთრებულ კანონების მოქმედება დიდხანს არ გაგრძელდება, რადგანაც სამინისტროს აზრადა აქვს ამ მოკლე ხანში მთელს იმპერიაში ერთი სამოქალაქო კოდექსი შემოიღოს. რუსეთის საპოლიტიკო მთლიანობა მოითხოვს სამოქალაქო კანონმდებლობის გაერთიანებას, რადგანაც მხოლოდ იგი შეადუღებს იმპერიის სხვა და სხვა ეროვნებათ (მემარჯვენეთა და ცენტრელების ტაში). მთელს იმპერიაში სამოქალაქო დებულების შემოსაღებად შემუშავებული რამდენიმე მოსაზრება უმაღლესად დამტკიცდა. მთავრობა თავის დღეში არ ჰმალავდა ხოლმსის პროექტის საპოლიტიკო ხასიათს და ეხლაც იტყვის: იგი საჭიროა ხოლმსის გაპოლონებისაგან დასაცავად და იქაურ რუსების შიდა რუსეთთან დასაკავშირებლად. ამ საქმის მოასგვარებლად საჭიროა, რომ ახალი გუბერნია არაფრით იყოს დაკავშირებული ვარშავასთან არც რაიმე ურთიერთობა ჰქონდეს. ამ აზრის მიხედვით მისაღებია, რომ ხოლმსი კიევის სამოსამართლო პალატას დაუქვემდებაროს, თუნდაც იგი ზოგიერთ უხერხულობასაც წარმოადგენდეს. მინისტრის თანაშემწე უარსაჰყოფს, ვითომც კიევში სასამართლოს გადატანა მართლაც მოხუერხებელი იყოს. ტყუილია, ვითომც კიევში არ მოიპოებოდნენ პოლონეთის კანონთა მცოდნე ვექილნი: კიევში ბევრი პოლონელია. მინისტრი დაბეჯითებით მოითხოვს პირველ მუხლის მიღებას.

**მასლენიკოვი.** აღნიშნავს, მინისტრის თანაშემწის მოსაზრებას პირწმინდად საპოლიტიკო სარჩული უდევს და სათათბიროს მოუწოდებს, სამართლის საქმეში პოლიტიკანობას ნუ შეიტანთო.

**კაპუსტინი.** თავმჯდომარეობს

**ბობიანსკიმ** აღნიშნა, კანონპროექტში ნათლად არ არის ნათქვამი, ვარშავის გენერალგუბერნატორის რომელი უფლებანი უნდა გადაეცეს მინისტრებსაო.

**მარკოვი მე-2.** პოლონელები ძალიან გაცხარებითა სცდილობენ პოლონეთის სამეფოს სახელწოდების დაცვასა და ძველ ეგვიპტელებს მოგვაგონებენ, მუმიებს რომ ინახავდნენ და მათი მკვდრეთით აღდგომის იმედი ჰქონდათ. როდესაც ხალხი ასე სცდება, საჭიროა მუმიის დამსხვრევა და ილიუზიის გაქრობა.

**დიმშას** შეუძლებელად მიაჩნია რუსეთში ერთნაირ სამოქალაქო დებულების შემოღება. გერმანიაშიაც აი, სადაც არა-გერმანელნი 6% შეადგენენ, 50 წლის განმავლობაში მზადდებოდა ეს საქმე.

**გრაფი უვაროვი** მომხრეა გენერალ-გუბერნატორის უფლების გაუქმებისა არა მარტო ხოლმსსა, არამედ მთლად პოლონეთის სამეფოშიც, და შესაფერი შესწორება შეიტანა.

**თავმჯდომარემ** გამოაცხადა, კენჭის ყრა უნდა მოხდესო.

**ნისელოვიჩმა** კენჭის ყრის გამო ლაპარაკი მოინდომა.

**თავჯდომარემ** ნება არ მისცა. მემარცხენენი ჰყვირიან: „ნისელოვიჩს ლაპარაკის ნება მიეცითო". ყვირილისა და ხმაურობის გამო კაპუსტინმა კენჭის ყრა ვერ მოახერხა და სხდომა შესწყვიტა.

სხდომის განახლებისას **ნისელოვიჩს** თავმჯდომარემ ლაპარაკის ნება მისცა. ნისელოვიჩის სიტყვის შემდეგ მეთერთმეტე განყოფილების პირველი მუხლი მიიღეს 163 ხმით 143 წინააღმდეგ. **უვაროვის** შესწორება უარჰყვეს. ტალანში გასვლისას ხმები დასთვალეს და მომხრე პირველის მუხლისა აღმოჩნდა 168, წინააღმდეგი 139. შემდეგ შვიდი და მეცხრე მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს. დანარჩენთა თაობაზე მსჯელობა შაბათს იქნება.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

## ტფილისი

✦ ამას წინად მეტეხში დაპატიმრებულ **აკაკი ჩხენკელსა და კალისტრატე გოგუას,** როგორც ნამდვილ წყაროებიდან შევიტყეთ, ამ დღეებში **თავდებობით ანთავისუფლებენ.** მათ ორს კვირაში უნდა მოაწესრიგონ თავისი ოჯახური საქმეები. მერე კი ადმინისტრატიულად **იგზავნებიან კავკასიიდან სამ-სამის წლით.** როგორც გადმოგვცეს საცხოვრებლად დონის-როსტოვი აურჩევიათ.

✦ **ილიას ნაწერების გამოცემა.** როგორც მკითხველებმა იციან, ილიას ნაწერები ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების სრულს საკუთრებას შეადგენს. ამიტომ ექ. მიხეილ გედევანიშვილმა, რომელსაც განუზრახავს ილიას ნაწერთა სრულ კრებულის გამოცემა, საზოგადოების მთავარ გამგეობას შესაფერი ნებართვა სთხოვა. ბ-ნ გედევანიშვილს აზრად აქვს, ნაწერები მშვენივრად და სურათებით გამოსცეს ისე, როგორც ეს მიღებულია რუსეთში. მთავარმა გამგეობამ თხოვნა განიხილა, საკითხის ასე თუ ისე გადწყვეტა გადასდო და დაადგინა: მოიწვიოს ბ-ნი გედევანიშვილი თავის უახლოეს კრებაზე საკითხის ყოველ მხრით გამოსარკვევად.

✦ **თავის მოკვლის განზრახვით** 16 თებერვალს თავი მოიწამლა ტრამვაის ქუჩაზე მცხოვრებმა ნატელეგრაფისტალის ცოლმა მარიამ თევდორეს ასულმა მიხაილოვმა. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მისი მდგომარეობა საშიშია.

✦ **კავკასიის ნამესტნიკს წარუდგნენ** 16 თებერვალს ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დაკითაშვილი და კავკასიის მუზეუმის დირექტორი პოლკოვნიკი კაზნაკოვი.

✦ **ა. ნ. სილინი.** სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი, სამსახურის საქმეთა გამო პეტერსბურგს გაემგზავრა.

✦ **ფრენა** 16 თებერვალს დიდუბის საჯირითო მოედანზე ბაქოდან ჩამოსულმა მფრინავებმა კვლავ იფრინეს. აგაფონოვი გაფრინდა სამჯერ, ორჯერ მგზავრით. ევსიუკოვი გაფრინდა ორჯერ, ერთხელ მგზავრით, იფრინა ზევერევის ქალმა მგზავრით.

✦ როგორც გადმოგვცეს **ქართულად ითარგმნება მოლიერის** კომედია „კაცობრიობის მოძულე". ითარგმნება აგრეთვე **ტურგენიევის** რომანები.

✦ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მთავარ გამგეობაში** ამას წინად აღიძრა საკითხი **პოეტის ვაჟაფშაველას ნაწერების** სრულ საკუთრებად შეძენის თაობაზე. გამგეობამ ეს საკითხი განიხილა და ამ ნაწერების შეძენა უსახსრობისა გამო შეუძლებლად იცნო.

✦ **სახალხო სკოლების ინსპექტორმა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობას** სთხოვა გორის მაზრის სოფელ **ხელთუბანში სკოლის** დაარსებას ვაპირობ და თქვენის სკოლის შენობა და ადგილი დაგვათმეთ უსასყიდლოდაო. შენობისა და მიწის ისტორია შემდეგია: წ.-კითხვის საზოგადოებას ამ სოფელში საკუთარი სკოლა ჰქონდა. სკოლა დაარსებული იყო 1884 წელს და მოთავსებული საზოგადოების ხარჯით აგებულ შენობაში. 1906 წელს გენერალ დიკოვის დამსჯელმა რაზმმა სკოლა გააუქმა და მასუკან საზოგადოებას იგი აღარ გაუხსნია. შენობა, რასაკვირველია, დანგრეულია და დიდს შეკეთებას მოითხოვს. გამგეობამ განიხილა ინსპექტორის შუამდგომლობა და მისი დაკმაყოფილება შეუძლებლად იცნო, რადგანაც ასეთის მნიშვნელოვანის საკითხის გადაწყვეტის უფლება მხოლოდ საზოგადოების საერთო კრებას აქვს.

✦ **საყმაწვილო ჟურნალები „ნაკადული" და „ჯეჯილი"** წ. კითხვის საზოგადოების მთავარმა გამგეობამ საზოგადოების ხარჯით 1912 წელს 13 ბიბლიოთეკასა და სკოლას გამოუწერა.

✦ **ტფ. გუბერნატორმა ნება დართო** დუშეთის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლს, 26 თებერვალს დუშეთში მაზრის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება მოიწვიოს.

✦ **რეფერატი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, საზოგადო კლუბში (ბირჟის დარბაზში) ა. ს. ბაბოვი რეფერატს წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „ბინის საკითხი". რეფერატის შემდეგ საუბარი გაიმართება.

✦ **ქართული სახალხო კითხვა** დღეს სამკურნალო საზოგადოების სადგომში გაიმართება წაიკითხავს ქ-ნი კარბელაშვილისა "სურამის ციხე"-ს. დასაწყისი დილის 11 საათზე

✦ **ახალი გაზეთი.** გრ. დიასამიძეს „ზაკ. რეჩ"-ის სიტყვით, განუზრახავს, მომავალ კვირიდან ტფილისში გამოსცეს ქართული ორკაპეიკიანი გაზეთი სახელად: „პატარა თემი".

✦ **ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი** პეტერბურგიდან ტფილისში დღეს დაბრუნდება.

✦ **ტფ. გუბერნატორმა ნება დართო** ევგენია ასათიანს, ახალციხეში წარმოდგენა გამართოს მსახიობ-ქალის **საფაროვ-იბაშიძის 30 წლის მოღვაწეობის** აღსანიშნავად. შემოსავალი უნდა გადაიდოს ახალციხის სცენის მოყვარულთა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ **ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიის** წევრნი 21 თებერვალს ქალაქის სასაკლაოს დაათვალიერებენ. ამასთანავე შეამოწმებენ, რამდენად კარგად მოჰკირწყლა ს. ზ. მირზოევმა სასაკლაოსაკენ მისასვლელი გზა.

**უძრავ ქონებათა ახალ შეფასების გამო აღძრულ საჩივრების** განმხილველი ქალაქის საბჭოს კომისია მხნედ მუშაობს. კომისიის წევრებს საერთო კრება ხუთშაბათობით აქვთ. საჩივართა რიცხვი დღითი-დღე მატულობს დღემდე 2,000-დე ავიდა.

✦ ნორაშენის მისახვევში მცხოვრებმა მეერ ფიჩხაძემ მაძებარ პოლიციას განუცხადა, ჩემმა შვილმა ისრაილმა (13 წლისა) 22 იანვარს სახლიდან სამასი თუმანი მომპარა და უკვალოდ დაიკარგაო. მაძებარ პოლიციის უფროსმა გამოარკვია, რომ ფულის მოპარვის შემდეგ ისრაილ ფიჩხაძეს ტფილისის რესტორანებსა და მეძავ ქალთა სახლებში უქეიფნია და შემდეგ „რაზსვეტი"-ს სასტუმროს მსახურ ივლიანე კიბაბიძესთან ერთად ქუთაისში წასულა. მაძებარ პოლიციის უფროსს ეს ამბავი ქუთაისში უცნობებია, სადაც ფიჩხაძე და კიბაბიძე 28 იანვარს შეიპყრეს მოპარულ ფულიდან კიბაბიძეს 73 მანეთი აღმოაჩნდა, ხოლო 450 მან. უპოვეს სასტუმრო „მეტროპოლ"-ში მცხოვრებს მეძავ ქალს, რომლისთვისაც ფული ფიჩხაძეს მიებარებინა. ფიჩხაძემ განაცხადა; [illegible]00 მან. მივეცი ახალციხის მცხოვრებს სიმონაობ მეერის ძე აბნელაშვილს, რომელთანაც ქუთაისში წასვლამდე ტფილისში ვქეიფობდით, 100 მან. კიკაბიძეს მივეც ხარჯად, 450 მან. მეძავ ქალს მივაბარე, ხოლო დანარჩენი შევჭამეო. დაჭერილნი ტფილისში ჩამოიყვანეს, სადაც შეპყრობილ იქმნა აბნელაშვილი, რომელმაც განაცხადა, ფული მართლა მივიღე ფიჩხაძისაგან და კიდეც შევჭამეო. ფიჩხაძე, კიკაბაძე და აბნელაშვილი გამომძიებელს გადაეცნენ.

✦ 15 თებერვალს და-ძმამ მარიამმა (10 წლისა) და კრიკორ (7 წლისა) ასლიბეკოვებმა ხოჯივანქის სასაფლაოსთან პეტარდა იპოვეს და ქვაზე დაარტყეს. პეტარდა გასკდა და მარიამი მარჯვენა ხელში მსუბუქად დაშავდა. ბავშვი არამიანცის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 16 თებერვალს ტფილისში 4 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება 16 თებერვალს მოხდა. ამ კრებაზე კომისიის წევრებმა ქალაქის სკოლები გაანაწილეს და მათი მეთვალყურეობა იკისრეს,

✦ **ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა: მოსთხოვოს საზოგადოების ბორჯომის განყოფილებას უკანასკნელ საზოგადო კრების ოქმი. ეს მოთხოვნა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ბორჯომის განყოფილების წევრმა ვლ. ყიფიანმა მთავარს გამგეობას წერილობით აცნობა, განყოფილების უკანასკნელ საზოგადო კრებაზე წესდება იქმნა დარღვეულიო.

✦ **ქალაქის სასაკლაოს აღმაშენებელ კომისიის** კრება 16 თებერვალს მოხდა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით. კომისიამ ინჟ. ოღანჯანოვისაგან მოისმინა საქმის გარემოება და დაადგინა: 1) ადგილობრივ დაათვალიეროს მსხვილ საქონლის პავილიონი, რადა გამოარკვიოს: როგორ იქმნას იგი გადახურული. 2) იმ კამერების იატაკის დასაგებად, სადაც საქონელი უნდა დაიკლას, გერმანიიდან ინჟინერი კიზერლინგი მოიწვიოს, 3) საყინულეებისთვის ექვსი ავტომატიური კარი გამოიწეროს, 4) საბიოლოგო სადგურის მოწყობის საკითხი ჯერ-ჯერობით გადაუწყვეტავი დასტოვოს, 5) ქონის სადნობ (ორთქლის საშუალებით) ქარხნის მოსაწყობად საბჭოს 30,000 მან. სთხოვოს და 6) საქონლის სისხლის მოსასპობ განყოფილების თაობაზე რუსეთის სხვა და სხვა ქალაქს შეეკითხოს.

## სასამართლო

✦ **ოლქის სასამირთლოს სესია** თელავიდან ტფილისს დაბრუნდა.

## თელავი.

✦ ს. ყვარელის მცხოვრებმა ივანე მამულაშვილმა სულიერ ავადმყოფობის დროს ხანჯლით ყელი გაიჭრა და ერთის საათის შემდეგ გარდაიცვალა.

## ქუთაისი.

✦ **სახაზინო პალატა** სთხოვს ქალაქის გამგეობას, აცნობოს იმ ვაჭართა სია რომელთაც აიღეს ვაჭართა წოდების მოწმობა 1912 წელს და იმათიც. რომელთაც არ განაახლეს 1911 წლის მოწმობა.

✦ **ბათომის გზათა საოლქო უფროსი** ატყობინებს ქუთაისის ქალაქის გამგეობას, რომ 6 მარტისთვის 1912 წელს გაიცემა სხვა და სხვა სამუშაო გზებისა და რკინის მოაჯირებისა. დაწვრილებით ამბის გაგება შეიძლება, თფილისის ოლქის სამართველოში ანუ ბათომში კავკასიის ოლქის უფროსთან.

✦ ს. ლ. ბახტაძემ გადმოქვცა, რომ წელს **ფუტკარს მუშაობა არ შეუწყვეტიათ.** დეკემბერსა და იანვარში ესე გამოდიოდა და დაფრინავდა სარჩოსთვის, როგორც ზაფხულის თვეებშიო. ამ თებვრვლის ცუდ ამინდებშიც ჩვენი თვალით ვნახეთ ეს მომუშავე ფუტკარი.

✦ ხოტევის საზოგადოების სოფ. იწაში (რაჭა) **უპოვიათ სპილენძის რგვალი სადუღარი ძვილის ძველი რომაულ ვერცხლის ფულით სავსე.** ის ქოთანი გ. სეფე მხეიძეს ს. ლ. ბახტაძისათვის გადაუცია, რომელსაც რამდენიმე ცალ ფულთან ერთად ჰსურს იგი მომავალ ქუთაისის ეთნოგრაფიულსა და ისტორიულ საზოგადოებას [illegible].

✦ 14 თებერვალს ქუთაისის საგუბერნიო [illegible] ამ წინად ჩხრეკის დროს ქიათურაში დაპატიმრებული კოლია ჩხეიძე.

✦ ქუთაისში თებერვლის პირველ რიცხვიდან მოყოლებული თითქმის ყოველ დღე წვიმს და ცივი ამინდებია. 15 თებერვალს კი **თოვლი მოვიდა.**

✦ სახალხო განათლების დეპარტამენტისაგან, მარტვილის საზოგადოების რწმუნებულს ბლაღოჩინ **რაჟდენ ჭალაგანიძეს.** ცნობა მოუვიდა, რომ ნება დართულია ამა წლის 1 სეკტემბრიდან გახსნან დ. **მარტვილში** სამოქალაქო სასწავლებელი, თუ სასწავლებლის შენობისათვის საზოგადოება შესძლებს ნობისათვის საზოგადოება შესძლებს შენობის აგებას, ან დროებით სასწავლებლის ბინის ქირის გადახდას. ბლაღოჩინმა ჭალაგანიძემ აუწყა დეპარტამენტს, რომ საზოგადოება თანახმაა შენობის აგებისო. ამგვარათ 1 სეკტემბრიდან მარტვილს სამოქალაქო სასწავლებელიც ექნება.

✦ შაბათს, 11 თებერვალს **ს. ბანძაში მ. ფალავას მძიმედ დაუჭრია პოლიციის ბოქაული;** როგორც ამბობენ მას ბოქაულთან კერძო ინტერესი ჰქონია.

✦ თფილისში გაემგზავრნენ დ. **ნაოლალევის მცხოვრებთა რწმუნებულნი:** ექ. იასონ ჟორდანია, ბლ. რაჟდენ ჭალაგანიძე და ჩიქვანაია— ამათ მინდობილი აქვთ საზოგადოებიდან წარსდგენ მეფის მოადგილეს წინაშე, რათა ნაოლალევის სასამართლო, რომლის გადატანა განზრახული აქვთ ბანძაში, დატოვებულ იქნას ისევ ნაოლალევში, სადაც ის 3 წელიწადზე მეტია რაც არსებობდა.

✦ 17 თებერვალს დანიშნულია **ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა.**

✦ 14 თებერვ. სხდომაზე **ქალაქის საბჭომ დადგინა:** ვინაიდან ქალაქის ნივთიერ გაჭირვებას განიცდის, ქალაქის სკოლების შეგირდებს აღარ მიეცეთ ეკსკურსიების მოსაწყობი ფული, ჩვენი მამები ხელმომჭირნეობას იქ იჩენენ, სადაც ეს შეუძლებელი და მცხოვრებთა ინტერესებისათვის მავნებელია.

✦ 11 თებერვალს ხონის ბოქაულს ღამის 12 საათზე, ხონის სარწყავ არხში უნახავს **დამხრჩვალი გვამი რაჟდენ ლევანის ძე ბახტაძისა.** როგორც გამოძიებას დაუმტკიცებია, ეს ბოროტ-მოქმედება ჩაუდენიათ პირადი ანგარიშების გამო სერაფიონ და ალექსანდრე ბახტაძეებს. ისინი პოლიციას უკვე დაუპატიმრებია და ოქმი გამომძიებლისთვის გადაუცია.

„ცხოვრ."

✦ დაიბეჭდა და ორ დღეში დაურიგდება ხელის მომწერლებს **სვიმონ ქვარიანის** ნაშრომი „ქართველი ერის ტრაგედია მე-18 საუკ." (გ. სააკაძე და მისი დრო) სააკაძის

# „ᲬᲐᲠᲕᲔᲓ ᲩᲔᲛᲒᲐᲜ, ᲡᲐᲢᲐᲜᲐᲕ!"

(რუსულიდან გადმოკეთებული)

ორმოცი დღის მარხულობამ უკანასკნელი ძალ-ღონე გამოულია იესოს: დასჰკნა, საშინლად ჩამოხმა. დაუძლურებული სხეული მინელებულის ხმით ძლივს აგონებდა თავის არსებობას დიდებულ სულსა, რომელიც სხვა მჭმუნვარებას შეეპყრო.

რიჟრაჟდებოდა. განთიადის ვარსკვლავი ჯერ კიდევ კაშკაშებდა, მაგრამ ცის კამარა მზის ამოსვლის მოლოდინში უკვე გათეთრებულიიყო. იესო მთის მწვერვალზე იდგა. მის ფეხთ ქვეშ განთიადის ნისლი ათასნაირ გრძნეულ სახით ირეოდა. ეს ის წუთი იყო, როცა უძილო ადამიანი ზედმიწევნით ჰგრძნობს მოქანცულ სხეულის ტანჯვას, ხოლო სულს ულონობის მოუსვენარი კაეშანი ეპატრონება.

სიცოცხლე ჯერ კიდევ სდუმს. გარემომო ყველაფერს ხმა გაუტვრინავს, თითქოს სული შეჰხუთვია ღამის ბნელ ზეწარ ქვეშ და მომკვდარა, რომ კვლავ აღსდგეს მზესთან ერთად. მაგრამ იესოს ყველაფერზე მეტად მარტოობა აწუხებს. არც ზეცას, არც დედამიწას სიცოცხლე არ ეტყობა და თვით ეს ერთად-ერთი ცოცხალი არსება თითქოს მკვდართა სამეფოდან გადმოვარდნილი აჩრდილია. ირგვლივ მოწყენილობა და უნუგეშობა გამეფებულა. რა ძვირფასია ამ მდგომარეობაში თუნდ ერთი სულდგმულის ნახვა, სხვისგან წარმოთქმული რაიმე ცხოველი სიტყვა! ძნელია ბრძოლა სიცოცხლის და სიამოვნების წადილთან, ძლევა მისი კი მხოლოდ დიად სულთა ხვედრია!..

ამომავალმა მზემ სტყორცნა პირველი სხივი და წითლად შეღება გაჩქარებით მაღლა მიმცურავი ნისლის მწვერვალნი. მაგრამ მხოლოდ მთამ თუ მოჰკრა თვალი ამასა. ბარად ჯერ კიდევ ეძინათ. იქ სიბნელე და სიჩუმე სუფევდა.

აფერადებულ ღრუბელთა ნაფლეთებ შორის უცებ გამოჩნდა, წამოცურდა, გაიზარდა და ჩამოეშვა ის... მაცდური. ეჭვი აღარ შეიძლებოდა. ცხადი სახე ჰქონდა. ის იყო...

უძველეს დროთა თქმულებათ თუ დავიჯერებთ, მაცდური სხვა და სხვა სახით ეჩვენება ადამიანს. ის ხან მომხიბლავი და მშვენიერი, ცრუ და ავ-ხორცი ქაჯია. ხან საშინელი მოჩვენებაა, რომელიც ყველას და ყველაფერს აფრთხობს. ხშირად უმანკო ქალწულია, რომელიც თავის სილამაზით გიზიდავთ თავისკენ. ხან საზიზღარი და ურცხვი საფრთხობელაა. ის ცბიერი, სულმდაბალი და პირმოთნე მატყუარაა, რომელიც მზად არის ურიცხვჯერ გემბოროს ფეხებზე და იმავე დროს მშვენიერ ტუჩებით მომაკვდინებელ შხამს გაწვეთებს პირში, რადგანაც ეჯავრეხი, მთელის არსებით ეზიზღები და ცეცხლში დასაწვავადაც არ დაგიშურებს. ხან ძლიერი, სასტიკი და დიდებით მოსილი ღვთაებაა, რომელიც გხიბლავს თავის ალერსით და სამართლიანობით... იმას ყველა იცნობს, ვისაც ცოტა მაინც უცხოვრია ამ ქვეყნად.

იესოს კი უდაბნოში მაცდური სულ სხვა სახით ეჩვენა. მიზეზიც სხვანაირი იყო. ბედკრული ურიასტანი—იუდას სამეფო და იესოს სამშობლო—ღირსება და პატივ-ახდილი, გასრესილი და უმწეო ეგდო ძლიერ რომის ფეხთ-ქვეშ. რჩეული ერიც ქედ-მოხრილი იდგა უცხოთა უღელქვეშ, დრტვინავდა და გზა ვერ ეპოვა თავისუფლებისაკენ. მის სატახტო ქალაქში თავისუფლად დათარეშობდნენ რომაელი მხედრები, თავმომწონედ აჩხარუნებდნენ იარაღს და ალმაცერად ზემოდან დასცქეროდნენ ამ ქვეყნის პატრონ ებრაელებს. რას დაგიდევდნენ, რომ ამ მცირე რიცხოვანმა ერმა ოდესღაც ძლევამოსილად გაიარა არაბეთის სახიფათო უდაბნო და მაღალ სინაის მთის ძირას თამამად ყური უგდო მთის მრისხანე იეღოვას კანონმდებლობას. მით უარესი ამ ერის აწმყოს! ხანდისხან წმიდა საყდრის კარებსაც კი გადაჰლახავს ხოლმე რომის ძლევამოსილი მხედრობა და ლოცვის დროსაც კი მოისმის მისი თოფ-იარაღის ჟღრიალი.

მეფე იროდმაც ხომ მორჩილებით თაყვანისცა დიდებულ რომს და გაყიდა თავისი სამეფო-სამშობლო. ფარისეველნი გარეგნულად სასტიკად ასრულებდნენ მამა-პაპათა ზნეჩვეულებას და ანდერძს, მაგრამ ჩუმად სიამოვნებით ხელს ართმევდნენ პილატეს და მის ამალას, თუ კი ეღირსებოდნენ ამასა. მხოლოდ ნაზარეველთ თუ ახსოვდათ იეღოვას აღთქმა და ნამდვილი სჯული. ისინი გაურბოდნენ ცხოვრების ჭუჭყს და უკუღმართობას, იხიზნებოდნენ ტყესა და უდაბნოში, იქ მყუდროებაში ეძებდნენ ღმერთსა და მოთმინებით ელოდნენ მის ბრძანებას, რომ დაბრუნებულიყვნენ ხალხში პატიებისა და იმედის ქადაგებით.

მაგრამ გადაგვარებული ერი სხვა გულისთქმას აჰყოლოდა. ორ, სხვა და სხვა სამეფოს, ჯვარედინ გზაზე იდგა კაცობრიობა. ჯერ კიდევ გარეგნობით დიადი, მშვენიერი, სიცოცხლით და ვნებით აღსავსე და მომხიბლავი იყო წარმართობა. ისრაელს ცოტაღა აკლდა, რომ დაევიწყნა ერთ-არსებითი იეღოვა და მუხლი მოეყარა სატანის წინაშე, რომლის ქანდაკებას თაყვანსცემდა და ურიცხვ მსხვერპლსა სწირავდა მთელი დანარჩენი კაცობრიობა. თვით ისრაელის მბრძანებელი რომაელები თითქოს ღმერთები გამხდარიყვნენ. სახარბიელო და გულის წარმტაცი იყო მათი ბედნიერება. მათს ხელში იყო ყველაფერი, რაც კი ძვირფასია ამ ქვეყნად,—სიმდიდრე, უფლება, სილამაზე, შვება და დროს ტარება. და არამც თუ თვითონ ჰქონდათ, შეეძლოთ სხვისთვისაც მიენიჭებინათ ეს ყველაფერი, თუ კი მოისურვებდნენ ამას. საკმარისი იყო, რომ ისრაელს დაევიწყა ეგვიპტე, მეწამული ზღვა, სინაის ელვა-ქუხილი, მოსეს ანდერძი, დავით მეფის ჰანგები და უცხოელებისგან მიყენებული დამცირება; საკმასაკმარისი იყო, გულიდან გადაეგდო რაღაც ეროვნული თვით-არსებობა, რასაც დრო გამოშვებით ნაზორეველნი აგონებდნენ,—და მოღალატეს საამქვეყნო სამოთხე, ბრწყინვალე დიდება და სურნელოვან ყვავილთა შორის დაუსრულებელი ლხენა მოელოდა. ყველა ამას ერთი ხელის გაქნევით უბოძებდა რომი, დიდებული და ყოვლის შემძლებელი რომი*)...

და მაცდურმა, რომელიც მზის პირველ სხივთან ერთად გადმოეშვა დამშეულ და ყოველსავე საქაო სიკეთეს მოკლებულ იესოსკენ, დროს და გარემოებათა შესაფერისი სახე მიიღო. ეს რომის კეისარის კარისკაცი ბრძანდებოდა. დიდებული, ახოვანი და მშვენიერი ძლევამოსილად იღიმებოდა. სასტიკი და იმავე დროს მომხიბლავი გამომეტყველება უნებლიედ ნდობას და პატივცემას იწვევდა მნახველის გულში.

— გინდა, რომ შენ იყო მეფე ურიათა? — ჰკითხა მან იესოს და ლმობიერად თვალი თვალში გაუყარა: იქნები, ოღონდ დამიჯერე მე და თაყვანი მეცი. მე ყველაფერი შემიძლიან, მთელი ქვეყნიერობის მბრძანებელი ვარ. ჩემ ხელთაა მთელი რომი, რომელსაც შეუძლიან გაბედნიეროს მთელი სამყარო... თაყვანი მეცი, დაიმორჩილე სხეულის მოთხოვნილებათ და მსოფლიოს მეფედ გახდი. შენა გგონია, რომ სულის სიმაღლით, თავმდაბლობით, სხეულის მოთხოვნილებათა უარყოფით და რაღაცა სიყვარულით თუ ძმობა-თანასწორობით სძლევ ქვეყნიერობას და დაანგრევ მის არსებულ წესწყობილებას. ხა, ხა, ხა! რა გიჟური და თავხედური ოცნებაა! საბრალოვ, ნუ თუ ვერა ჰგრძნობ, როგორ საცოდავად იტანჯება შენი საკუთარი სხეული!? ყველანაირი სიტკბოება გაკლია, პურიც კი... აბა, გადაჰხედე ძირს, რა მშვენიერია შენი მამა-პაპისეული ქალაქი, შენი საყვარელი იერუსალიმი. ისიც ჩემია. ოღონდ ისურვე, დამიჯერე და შენ იქნები მბრძანებელი შენის ერისა. ყველაფერი შენს ხელში იქნება, რასაც კი მოინდომებ. უყურე, რა მშვენიერია გალილეა. რა დიდებულად მისცურავს ანკარა იორდანე. აბა, იქით მიიხედე, რა წარმტაც სანახაობას წარმოადგენს გენისარეთის ტბა. აი ზეცის ხილით მოსილი მთები და სურნელოვან კვიპაროსის ტყეები. ეს ყველაფერი ჩემია და ამ წუთშივე შენი იქნება, თუ თაყვანსა სცემ დიდებულ რომსა, რომლის გარეშე არც უფლებაა ქვეყნად, არც ძალა, არც სიცოცხლე. შენ გინდა ემსახურო შენს ერსა. დიდება და სახელი მოუხვეჭო მას. მებრალები, თუ გჯერა, რომ ვითომ ეს შესაძლებელია რომის დაუხმარებლად! რომის ხელშია მთელი ქვეყანა. თაყვანი ეც რომსა და ყველაფერი შეგეძლება, უიმისოდ კი—არაფერი. გგონია, რომ ადამიანს დაიმორჩილებ, თუ სხეულის დაჩაგვრას, ლოცვას და მარხულობას უქადაგებ მას? ჰა, ჰა, ჰა, საბრალოვ! იმათ სიცილადაც არ ეყოფათ შენი ოცნება და ბოდვა. ქვით ჩაგქოლავენ, უბედურო, ლატაკო, დაფლეთილო, მშიერო!.. ყური მიუგდე უტყუარ ბუნების ხმას, აჰყე შენს სხეულს, რომელიც ალერსს

*) რომი სატახტო ქალაქი იყო რომაელებისა, რომელთაც ქრისტეს დაბადების წინ თითქმის მთელი ქვეყანა დაიპყრეს და მონად გაიხადეს.

**წლიურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ**

ხელის მოწერის პირობების თანახმად წლიურ ხელის-მომწერად ითვლება: ვინც ხელის მოწერის დროს განაცხადებს სურვილს, რომ მთელი წლით უნდა გაზეთი და მაშინვე შემოიტანს 3 მანეთს, და ვინც წლიურ დანარჩენ ფასს გადიხდის **1 მარტამდე 2 მ.**, 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენ 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

რადგანაც **1 მარტი** ახლოვდება ვთხოვთ ვისაც შემოსატანი აქვს შემოიტანონ 2 მან.—წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკარგება წლიურ ხელის მომწერის უფლება, რომლის ძალიდაც პრემია **მიიღო** და ამიტომ გაზეთის გზანაც შეწყდება.

**„სახალხო გაზეთის" კანტორა.**

სურათით, რომელიც ამოჭრილია და დაბეჭდილია პეტერბურგში; ავტორს ეს სურათი უშოვია განსვენებულ თამარაშვილისაგან. ხელის მომწერთათვის წიგნი ღირს 30 კ.

✦ ქუთაისში შესდგა **ახალგაზდა მსახიობთა ამხანაგობა**, რომელმაც მიზნად დაისახა ამ მარხვის განმავლობაში გამართოს რამოდენიმე იაფ-ფასიანი წარმოდგენა. ამხანაგობაში შედიან: ი. ზარდალიშვილი, ა. ყალაბეგიშვილი, ვ ბარველი, პ. კორიშელი, ა. მურუსიძე, ა. შოთაძე, ლ. ღოლობერიძე და სხვ. პირველ წარმოდგენას ამხანაგობა გამართავს კვირას, 19 თებერვალს. ითამაშებენ „პატარა კახს".

✦ ამას წინად ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა ყაჩაღ შურგაიას მოკვლის შესახებ, ახლა ამ მკვლელობის შესახებ კიდევ დამატებითი ცნობები მოგვივიდა. შურგაია მოუკლავთ ზუგდიდის მაზრის სოფელ საგუგუნაოში. მოუკლავთ ბოქაულ დავითაიას და მის დარაჯებს. პოლიციისთვის შურგაიას ბინა უჩვენებია ხარებედიას. ხარბედია განზრახ დამეგობრებია შურგაიას და შემდეგ გაუცია. შურგაიასა და დარაჯთა შორის სროლა ერთ საათს გაგრძელებულა. შურგაიას მოუკლავს სროლის დროს დარაჯი ბუბაშვილი.

✦ 15 თებერვალს „კოოპერაციის" რედაქციამ მოსკოვის სახალხო ბანკიდან საწევრო ბლანკები მიიღო.

✦ კვირას, სენაკში დანიშნულია წევრთა კრება, ადგილობრივ განყოფილების ქ. შ. კ. გამარცელებელ საზოგადოებისა.

✦ დ. აბაშაში ჟურნალ „კოოპერაციის" რედაქტორი წაიკითხავს საჯარო ლექციას კოოპერაციაზე.

✦ სოფელ კონტუათის სამრევლო ორ-კლასიან სკოლასთან, გაუხსნიათ ჰრა-კერვის განყოფილება. („ცხოვრ").

✦ საკრებულო ტაძრის გალავანის გასაკეთებლად **საჯარო ვაჭრობა** 22 თებერვალსაა დანიშნული.

✦ ქალაქის საბჭომ დადგინა: დაენიშნოს ქალაქის აფთიაქის მართველს ა. მხეიძეს წლიურ ჯამაგირად 1500 მანეთი, რამდენსაც იღებდა ფილიალური განყოფილების გამგეობის დროს. საბჭომვე დაადგინა მიეცეს აფთიაქის ფილიალური განყოფილების მოსამსახურეებად ნამყოფთ ორ-ორი თვის ჯამაგირი.

✦ **წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელში** მომხდარ ინციდენტის გამოგამოძიება კიდევ გრძელდება. სასწავლებლის საბჭოს ყოველ დღე თათბირი აქვს. სწავლა სწარმოებს, მაგრამ ნორმალურ კალაპოტში არაა ჩამდგარი. უფროსი კლასების მოწაფე ქალები თითქმის ყველა ერთსულოვნებით არიან გამსჭვალული და უფროსის წინააღმდეგ პროტესტის გზას ადგიან. ხოლო იმასაც ამბობენ, რომ უმცროსი კლასის მოწაფენი რაღაც კოლექტიურ თხოვნის შედგენას ფიქრობენ იმის თაობაზე, რომ ახლანდელი უფროსი არ მოგვაშოროთ.

ყოველ შემთხვევაში, საქმისათვის საჭიროა მალე გადასწყდეს ეს ამბავი, რომ სწავლის საქმეს შეფერხება არ დაეტყოს.—ეგზამენის დრო მოახლოვებულია და ბავშვების გამოურკვეველ მდგომარეობაში დატოვება დიდი დანაშაული იქნებოდა. („კოლხ").

## ბ ა თ ო მ ი.

✦ ქალაქის თავი თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი პეტერბურგიდან იტყობინება, რომ **საფუთო გადასახადის საკითხი,** რომელიც უნდა განეხილა სახელმწიფო სათათბიროს საფინანსო კომისიას 8 თებერვალს, გადაიდო 18 თებერვლისათვის.

✦ **ბათომის სავაჟო გიმნაზიის** დირექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას აცნობოს მას: ბათუმის მცხოვრებთა და მოსწავლე ბავშვებთა რიცხვი.

✦ **სასამართლო.** 13 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის არშაკ ტოროსოვის საქმე, რომელსაც უჩიოდა ექიმი ერისთავი ცილის წამებას პრესაში. სასამართლომ სტუდენტი ტოროსოვი გაამართლა.

✦ 11 თებერვალს, ღამის 3 საათზე, ჯემალ-სეიდ-ოღლის რევოლვერის სინჯვის დროს უცაბედად გავარდნია რევოლვერი და მოხვედრია ბარძაყში. დაჭრილი ჯემალი ქალაქის საავადმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ მაშინვე გარდაიცვალა.

✦ საბჭოს სარევიზიო კომისიის სხდომა. ქალაქის თვითმართველობის შენობაში 14 ამ თვეს საღამოს $7^1/_2$ საათზე გამგეობამ მოიწვია **საბჭოს სარევიზიო კომისია.** კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია ხმოსანი პეტროსიანი და დაადგინა: შეუდგეს რევიზიას მთავრობის რევიზიის მოსრულების შემდეგ რომელიც ამ თვის გასულს დასრულდება.

✦ ქ. ბათუმის გადასახადთა ინსპექტორ თ-დ წერეთლისათვის მთავრობას მიუნდვია შეკრიფოს ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია დღეს **ბათუმის ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობა:** ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ვითარდება ის თუ კლებულობს. ამ ცნობების შეკრებას უკვე შესდგომია თ-დი წერეთელი.

✦ ბათუმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობას უკვე შეუდგენია 1911 წლის ანგარიში. საზოგადოების საქმეებს წინანდელ წელთან შედარებით დიდი გაუმჯობესება ეტყობა. წელს საზოგადოების ოპერაციებიდან 3 ათას მანეთამდე წმინდა სარგებელი დარჩენია.

✦ ნავთსადგურის განათება ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულ კომიტეტს დაუდგენია ბათუმის ნავთსადგურის განათებისათვის ქალაქს მიეცეს 1911 წ. გადადებულ განათებისათვის 23,522 მ. ნაცვლად 14,088 მან. და 75 კაპ. და 1912 წელს—9,911 მ. და 16 კ.

✦ ქალაქის ლომბარდი. ბათუმის ქალაქის ლომბარდი გაიხსნა 1899 წელს 53,000 მან. თანხით. დღეს ლომბარდის თანხას შეადგენს 61 ათას 892 მან. და 95 კაპ.

✦ სასამართლო. 14 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია ლუკა მელქაძის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა ბათუმის დეპოში მომუშავე ქალის გუგუშვილის დახრჩობა 1911 წ. აგვისტოში. სასამართლომ მელქაძე დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა ოცი წლ. კატორღა. „ბ. გ."

# ჟურნალისტის დღიური

54.

**პროვინციის თავები.**

უფერულია ჩვენი პროვინციის ცხოვრება. ინტელიგენტურ ძალებს მოკლებული, იგი უპატრონოდაა დარჩენილი. ამიტომ ცოტად თუ ბევრად ინტენსიური კულტურული მუშაობა თითქმის შეუძლებელი ხდება. მიუხედავად ამისა, მაინცა ჩნდება აქ-იქ პატარ-პატარა ჯგუფი, რომელიც საქმის გაკეთებასა სცდილობს. ისინი ცენტრს დაშორებულნი არიან, მაგრამ მაინც სასოებით მიუპყრიათ თვალი იქითკენ, სადაც კულტურული მუშაობა უფრო ინტენსიურად სწარმოებს. აკეთებენ თავის ადგილობრივ, პატარა მაგრამ სასარგებლო საქმეს და სცდილობენ პატარა ნაკლი თავის მუშაობისა საერთო კულტურულ მუშაობის მდინარეს შეუერთონ.

ერთის შეხედვით დიდი არ არის ეს მუშაობა, მაგრამ, თუ ჩვენი პროვინციის უფერულ ცხოვრებას გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ ამ მცირე კულტურულ მუშაობასაც ფრიად დიდი ფასი აქვს. ამიტომ ყველას ზნეობრივ ვალდებულებას უნდა შეადგენდეს დახმარების ხელი გაუწოდოს ასეთს მუშაკთ, რომელნიც რომელიმე კულტურულ დაწესებულებას ეკედლებიან და შეძლებისადაგვარად გულწრფელად და უანგაროდ მუშაობენ.

მაგრამ ჩვენში ხომ ასეთს ჩუმსა, მაგრამ სასარგებლო მუშაობას ფასი არა აქვს. პირადი ინტერესებით გაჟღენთილი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა მზად არის ფეხით გასთელოს ასეთი მუშაკნი და თავიანთი მოუხეშავი, ტლანქი ხელით დაღი დაასვას მათს მოქმედებას. ასე ხდება ყველგან ჩვენში, განსაკუთრებით იჩენს ხოლმე თავს ეს დაწვრილმანებული ბუნება ადამიანისა პროვინციაში, სადაც საზოგადოებრივობას ნაკლები გასაქანი აქვს. დიძრწიან ეს პროვინციის თავები და ყოველ ღონესა ხმარობენ კულტურულ საქმეს ძირი გამოუღრღნან. ვისაც პროვინციაში უცხოვრია, კარგად ეცნობება ამ ჯურის ვაჟბატონები.

ჩვენი მკითხველი გაიგებდა, მაგალითად, რომ ქალაქ თელავში ვილაც აჯიმამუდოვმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ გამართულ საღამოზე გაამასხარავა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი და საღამოს გამმართველნი. გამასხარავებას ვინ სჩივის, დაავიწყდა უბრალო ზრდილობა, რომელიც ყოველს ადამიანს მოეთხოვება, და ჭორი გაავრცელა საზოგადოებაში. აი, როგორ გადმოგვცემს კორესპონდენტი ამ ამბავს:

„აჯიმამუდოვს ჩაეცვა ჭილობის ტანისამოსი, შლიაპაზე საწერელი დაემაგრებინა და კალამი გაერჭო. ზედ წაეწერა: „კორესპონდენტი". კარდონზე გაზეთში დაბეჭდილი კორესპონდენცია გადაეწერა და შემდეგ მოეწერა, ამისათვის გადავწყვიტეთ (ალბად მე და წერა-კითხვის საზოგადოებამ), გავავრცელოდ ხმები, რომ 9ს გამართული საღამო (ეს საღამო საქალაქო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ იყო გამართული, რამდენიმე დღით ადრე გაიმართა და ცოტა ხალხი დაესწრო) არ იქნება საინტერესო და არცა ღირს წასვლა, რად უნდა ღარიბ მოწაფეთ განთავისუფლება!"

აი, ამისთანა საშუალებითა სცდილობენ ხოლმე ჩვეულებრივად პროვინციის თავები წყლის ამღვრევას და ვნებას იმ საქმისას, რომელიც ახლად იკიდებს ფეხს. თელავში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება ეხლახან გაიხსნა, იგი ჯერ ისევ სრულიად ნორჩი დაწესებულებაა. მას დახმარება უნდა ქონებრივი, ზნეობრივი. ნაცვლად ამისა კი პროვინციის თავგი გადმომდგარა და ცილის წამებით, უსაფუძვლო ჭორების გავრცელებითა ჰსურს საზოგადოებაში ნდობა დაუკარგოს ახლად ფეხ-ადგმულ დაწესებულებას, აამხედროს მის წინააღმდეგ მშობლები და მოსწავლენი. განა ასეთს დახმარებას საჭიროებს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება? სირცხვილი იმას, ვისაც ასეთი უბრალო რამ ვერ გაუგია და ცილის წამებითა ჰსურს კარგი საქმის გაფუჭება, თორემ თელავის საზოგადოება უეჭველია ჯეროვანად დააფასებს პროვინციის თავგის უკბილო წრუწუნს.

**შინაური.**

# საჭირო საქმე

ამას წინად პრესაში ლაპარაკი ჩამოვარდა ქართულ სიმღერების მოგროვება-შესწავლის საჭიროებაზე. აღნიშნული იყო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეს...

მაგრამ განა მარტო ეს ერთი საქმე გვაქვს გასაკეთებელი?! რამდენი რამე გვაქვს კიდე შესაგროვებელ-შესასწავლი! რამდენი რამ იკარგება, ნელ-ნელა ისპობა, ჰქრება, მარტო იმიტომ, რომ საკმარისი ყურადღება არა აქვს მიქცეული, მკვლევარი არა ჰყავს, ხელს არავინ ჰკიდებს!..

უცხოელები მოდიან ჩვენში, ჩვენს ხალხს ეცნობიან, მისს ზნე-ჩვეულებათ იკვლევენ, ერთ-ერთს გერმანულ უნივერსიტეტში ქართულ-სომხურ სამართლის განკუთვნილი კათედრაც კი არსებობს—და ჩვენ კი ამ მხრით თითქმის არაფერს ვაკეთებთ, ხელი ვერ გამოგვიღია, საქმე რიგიანად ვერ მოგვიწყვია...

საოცარს დაუდევრობას ვიჩენთ, სასირცხვილო გულგრილობას ფრიად მნიშვნელოვან საქმეში, — მნიშვნელოვანს არა მარტო ეროვნულ თვალის აზრით, არამედ მთელი კაცობრიობისათვის, მსოფლიო მეცნიერებისათვის... ჩვენს ირგვლივ უხვად მოიპოვება ძვირფასი მასალა, საკმარისია ოდნავ ხელის განძრევა მის მოსაპოვებლად, მაგრამ ჩვენ ხელის განძრევაც გვეზარება... არიან ჩვენში **კერძო** მკვლევარნი ხალხური ცხოვრებისა, ზნე-ჩვეულებისა, ადათებისა... ბევრსა აქვს ჩაწერილი მშვენიერნი ნაწარმოებნი ხალხურ პოეზიისა, გვაქვს უკანასკნელი სპეციალური საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელიც დროგამოშვებით ჰბეჭდავს ამა თუ იმ კერძო პირის-მიერ მოწოდებულ მასალას, მაგრამ ყველა ეს არა კმარა, საქმეს სულ სხვანაირად უნდა მოწყობა...

საჭიროა, კერძო მკვლევართა შეერთება, მათ შორის შრომის განაწილება, თვითოეულ მათგანისათვის პროგრამის მიცემა, ერთის სიტყვით ის, რასაც შრომის ორგანიზაცია, კოორდინაცია ჰქვიან. კარგი იქნებოდა, მაგალითად, რომ ჩვენი საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება სპეციალურ კომისიას დაარსებდეს ხალხურ ზნე-ჩვეულებათა შესასწავლად, ხალხურ ლექსების და სხვაგვარ ნაწარმოებთა შესაგროვ-შესამუშავებლად. ასეთი კომისია, შემდგარი თავის საქმის მოყვარულ სპეციალისტთაგან, შეადგენდა მოწოდებათა კერძო პირთა მიმართ, დაუგზავნიდა მათ შრომის პროგრამებს და სხვა და სხ. ამ გზით ბევრ ისეთ ძალის გამოყენება შეიძლებოდა, რომელსაც დღესაც სძინავს, უსაქმოდ არის. რამდენი სოფლის მასწავლებელი, მაგალითად, მღვდელი, —საზოგადოდ სოფლის ინტელიგენტი, — ამგვარ მოწოდებით ამოძრავებული, თითოოროლა ლექსს მაინც ჩაიწერდა, თავის სოფლის უმთავრესს ადათს და ზნეჩვეულებას გაგვაცნობდა!..

ურიგო არ იქნებოდა აგრეთვე, რომ ჩვენი პრესაც მეტს ყურადღებას უთმობდეს ხალხურ პოეზიას, ვიდრე ამას დღესა ვხედავთ. საზღვარგარეთელ მწერალთა გადმოთარგმნას და გადმოღეჭვას ბევრითა სჯობს ყოველ დღე თუ არა დღეგამოშვებით მაინც გავაცნოთ მკითხველ საზოგადოებას საუკეთესო ნიმუშები ხალხურ ქმნილებისა...

დიდი სამსახური შეუძლიანთ გაუწიონ ამავე საქმეს ქართველმა მასწავლებლებმა: მაგალითად, სავალდებულო შრომის მაგიერ რამდენიმე ხალხურ ლექსის, ანდაზის, გამოცანის და სხვა ამ გვარის ჩაწერის დავალებით...

ყველა ეს—მხოლოდ დაახლოვებითი, სანიმუშო გეგმაა. ბევრი კიდევ სხვა გზა მოგვეპოვება ხალხთან დაახლოვებისა, მის ქმნილებათა და შესწავლისა... თუ მოვინდომებთ და ხელს გამოვიღებთ, ყველაფერი ადვილი მოსახერხებელია—საქმე წრფელი სურვილია! **გ. ჟორდანია.**

# ახალციხე-ჯავახეთის ამბები.

1-ლ თებერვალს რაბათის დედათა სასწავლებელში გაიმართა **საბავშო საღამო,** სადაც ბარათებით მოწვეულიიყვენ იმავე სასწავლებლის მოწაფეთა მშობლებიც.

საღამო სამ განყოფილებისაგან შესდგებოდა: 1, დასდგეს 2 მოქმედებიანი საყმაწვილო პიესა, 2, ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები და მასწავლებელ მეტრეველის ლოტბარობით მღეროდენ სახალხო სიმღერებსა და 3, ყმაწვილების ცხოვრებიდან აჩვენეს რავდენიმე ცოცხალი სურათები.

საღამომ საზოგადოდ კარგად ასიამოვნა დამსწრენი, თუმცა ცოცხალ სურათებს გასანათებელი არ უვარგოდა.

კარგა ხანია ახალციხის ქართველობა ქართულ წარმოდგენებს მოკლებულია. სამაგიეროდ არიფანები დიდად გაჩაღეს, რითაც მთელ ზამთარს, ყველივრამდე ირთობდნენ თავსა, სადაც საქეიფო სუფრასთან ერთად „ტანცი-მანცის" და ლოტობანქოსაც დიდი ადგილი ეჭირა.

ბევრჯელ დაწერილა გაზეთებში, რომ რაბათის ღარიბ ხალხს იძულებით ანთებიებდენ სახლის კარებზე გამოკიდულ ფარნებს, როდესაც თავათ ოჯახის გასანათებელი ნავთიც არ აქვთ. ამ ბოლო დროს ისე მოუჭირა ხელი ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, რომ ვინც არ ასრულებდა ბძანებას ოქმები შეუდგინა ყველას. როგორც გავიგეთ, 50 ზე მეტი ოქმი შეუდგენიათ დალატაკებულ ხალხისათვის.

4 თებერვალს **სოფ. ხიზაბავრაში** (ჯავახეთში) მეტად საზარელი ამბავი დატრიალდა.

სოფ. ტამალის მცხოვრებელმა, მთვრალმა ბრაუნგინის ლევორველი გაისროლა შეჯგუფულ ხალხში, **ორი დასჭრა** და ერთი 15 წლის ყმაწვილი, **ხაზალოვი მოჰკლა.** სანამდი დანარჩენ ტყვიებსაც დასცლიდა მთვრალი, შეშინებულმა ხალხმა ქვა ლოდი დაუშინა და ჩააქვავეს მკვლელი, რომელიც [illegible] გარდაიცვალა.

მკვლელს ორი სხვა ამხანაგიც ახლდა. ერთს მათგანსაც მძიმეთ სცემეს ხოლო მეორემ, გაასწრო და გაიქცა.

საქმე ასე ყოფილა: ტამალელები მექორწილეები ყოფილან, რომელთაც ალასტანიდან თურმე მოჰყავდათ ტამალაში ქალი. ესენი ხიზაბავრაში მოსულან, რათა ჰქყინა (დუდუკი) წაეყვანათ ხიზაბავრიდან თავიანთ ქორწილში.

ხიზაბავრაშიც ქორწილი იყო და არ დაანებეს ჰქყინა ტამალის მექორწილეებსა. როგორ თუ არ გვანებებთო ტამალელებიც მთვრალები ყოფილან), ერთ მათგანს ლევორველი ამოუღია გინებითა დ უსვრია შეჯგუფულ ხალხისათვის, რასაც ზემოდ ხსენებული საზარელი შედეგი მოჰყოლია.

7 თებერვალს ღამით, **ასპინძაში,** ივანე გაბაშვილს და ალექსი ეფრიკოვს დუქანი დაუწვეს. როგორც ამბობენ, დუქნის პატრონის, მ. ეფენდიევის მტრებს განგებ მიუციათ ცეცხლი. შენობა სრულიად გადამწვარა. მედუქნეებს ვერაფერი გადურჩენიათ, სულ დასწვიათ. ზომაა მიღებული ბოროტ გამზრახველის აღმოსაჩენად. **მოამბე.**

# სხვა და სხვა ამბავი

**საღათას ძილი**

შარშან მარტში საღათას ძილით დასძინებია ეკატერინოსლავში ერთს პატიმარს მოისეენკოს და დღევანდლამდე სძინავს.

1911 წლის 8 მარტს მოისეენკოს საბრალმდებლო ოქმი ჩააბარეს, რითაც ძარცვა-გლეჯას აბრალებდნენ. მოისეენკომ ოქმიდან გაიგო, რომ იგი გაუცია ერთს ქალს, მასთან ძალიან დაახლოვებულს. ამ ამბავს მოისეენკოზე ისე ძლიერად უმოქმედნია და ისეთი საშინელი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ უცებ დაცემულა და მიმკვდარებულა. ბევრს ეცადნენ გაეღვიძებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამის შემდეგ მოისეენკოს საღათას ძილითა სძინავს. მოისეენკოს გამოღვიძება შეუძლებელია. რაც გინდათ უყოთ, ყურში ჩაჰყვიროთ, ძლიერად შეანჯღრიოთ და ან ქინძისთავი უჩხვლიტოთ მაინც ვერ გამოაღვიძებთ. მოისეენკო რანაირადაც უნდა დააწვინოთ, მაინც სძინავს. ტანი მთლად მოდუნებული აქვს. ფეხზე რომ წამოაყენოთ, ისევ დაეცემა და ტანი რანაირ მდგომარეობასაც მიიღებს, ისე სძინავს. ამისდა მიუხედავად, ავადმყოფი ზოგჯერ თვითონ გამოიცვლის ხოლმე მდგომარეობას, გვერდზე გადაბრუნდება. თვალის ქუთუთოები მოძრაობენ, თუმცა ყოველთვის კი არა. თვალის დანახვა შეუძლებელია, რადგან როგორც კი ასწევთ ქუთუთოებს, მაშინვე გადაბრუნდება კაკლები. ისე სუსტადა სუნთქავს, რომ ვერც კი შეატყობს ადამიანი.

მოისეენკოს უბედურება ისაა, რომ ყველაფერი ესმის, რაც მის გარშემო ხდება. ავადმყოფი ამ ჟამად 99 გირვანქას იწონის (სექტ. 80 გირ. იყო).

მოისეენკოს ჯერ საქიმო იარაღით ჰკვებდნენ, შარშანდელ ზაფხულიდან კი თვით ლოღნის საჭმელსა.

# პატარა ფელეტონი

## ყალბი ორსულობა

ადამიანი, რომელმაც დაწესებულება ამართა, საქმეში კი არ გამოუყენებია ემგსავსება მუშაკს, რომელიც მიწას ხნავს, მაგრამ არაფერს არ სთესავს საამდროვოდ ანდაზა.

ქალაქის გამგეობის ერთმა მოსამსახურემ ისურვა იმის შეტყობა, თუ რა შედეგი მოჰყვა სახელმწიფო სათათბიროსა და საბჭოს ხანგრძლივ მუშაობას; მიმართა თავის ნაცნობ პოლიციის მოხელეს და ჰკითხა ახალ კანონის ამსრულებელი ბოლოს და ბოლოს თქვენა ხართ, და მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, ამ ბოლო წლებში რა ახალი კანონები იქმნა შეტანილი ჩვენს ცხოვრებაშიო?

---

და სიტკბოებას თხოულობს, თაყვანი მეც მე, ამ ქვეყნის ბრძანებელს, და დაემორჩილე რომს, რომელსაც შეუძლიან ყოველი საამქვეყნო ბედნიერება მოგანიჭოს... იესოვ, შემომიდეგ მე!.. გვირგვინოსანო!...

საკუთარის ძლიერებით და ენაწყლიანობით გაბრუებული მაცდური კმაყოფილად იღიმებოდა, რადგანაც თავის გამარჯვებაში ეჭვი აღარა ჰქონდა. ბუნება ისევ სდუმდა, ნისლიც კი სადღაც გამქრალიყო. მხოლოდ მოახლოვებული მნათობი სხივს სხივზე ისვრიდა, თითქოს ეჩქარებოდა გაეშუქებინა მაცდურის სახეზე განთიადის მკრთალ სინათლეზე ჯერ კიდევ უჩინარი ნაოჭი, სადაც გამარჯვების აშკარა დაცინვის გვერდით სული გაენაბა, მაგრამ საცაა გაიძრეოდა და იკვნესებდა დამარცხების. სასოწარკვეთილება, მოწყვეტილი და ილაჯ-გამოლეული სხეული მწვავედ იტანჯებოდა უძილობისა და სიმშილისაგან, ლუკმას და მოსვენებას თხოულობდა, მაგრამ ვერას აგონებდა დიდებულ სულსა, რომელიც სწორედ ამ წუთს უფრო თავგანწირვით, ვიდრე სხვა დროს, როგორც დედის ნანა პირმშოს აკვანს, ზვარაკად თავს ევლებოდა ჯერ კიდევ მძინარე ისრაელს, რადგანაც ეხლა უფრო, ვიდრე სხვა დროს, ჰგრძნობდა მის დაბეჩავება-გათახსირებას და მომავალ ხიფათსა.

არა! იესოს ვერ აცდენენ რომი და მისნი მოციქულნი. მან თავი უნდა შესწიროს მშობელ ერსა. იგი მას ვერ უღალატებს. იესოს ყველა უყვარს. ეს ჩასუქებული, წარჩინებული, სხვის უბედურობით გალაღებული, ყოვლად შემძლე და ყველას მავნებელი, საკუთარ გარყვნილობის წუმპეში მოცურავე და ნაძარცვ-ნაგლეჯ სიმდიდრეში ჩამხრჩვალი გვამიც კი არ ეჯავრება, მხოლოდ ებრალება, როგორც უკანასკნელი ულუკმაპურო ისრაელი მათხოვარი. მძიმე იქნება იესოსთვის სამეფო გვირგვინი. ფუჭია მისთვის ოქრო და დიდება. უფლებაც მათ ესაჭიროებათ, ვისაც სხვისი დაჩაგვრა უნდათ. ძმობა, ერთობა, თანასწორობა და ერთმანეთის სიყვარული—აი იესოს მიზანი და ბედნიერება. დეე, ერის გამყიდველთ ინუგეშონ თავი რომის წყალობით... „აცადენ მკვდარნი დაფლვად თვისთა მკვდართა"—მოაგონდა იესოს თავისი ჩვეულებრივი სიტყვები (მათ. VIII, 22; ლუკ. IX, 60) და სევდიანად გაღიმა.

— მაშ, თანახმა ხარ, ძეო დავითისავ!?—ისარგებლა წუთით მაცდურმა, რომელიც მოალერსე თვალებს არ აშორებდა იესოს, და მეგობრულად, როგორც ტოლსა, გაუწოდა ხელი.

ეს კი აღემატებოდა უმწიკვლო ხორციელის მოთმინებას. იესომ მთელს არსებაში შეურაცხყოფის მწვავე ტკივილი იგრძნო. ცისკროვანი თვალები ბრაზის ნაპერწკლებით აევსო. სპეტაკი შუბლი მოეღრუბლა. მან თითქოს მხოლოდ ეხლა დაინახა ურცხვი ენა-წყლიანი მაცდური. გულის წყრომა გადაეცა სხეულსაც, რომელიც ჰკრთოდა მაცდურის სიახლოვის გამო. ჰკრთოდა და კანკალებდა თვით ნიადაგი, სადაც იესო იდგა.

— წარვედ ჩემგან, სატანა!—ღრმად ნაწყენმა მთელის არსებით მრისხანედ შეჰყვირა იესომ და უნებლივ მძლავრად გაიქნია ღონემიცემული მარჯვენა. ხელში ის ჯირკვი მოხვდა, რომელზედაც მთელი ღამე წაჩოქილი, მშიერი, მწყურვალე და მოქანცული, ზეციერ მამას უკულმართ ქვეყნიერობას ავედრებდა, მის გამობრუნებას და განახლებას შეჰღაღადებდა. გამარჯვებული იესო ისევ დაემხო და ლოცულობდა. მისი ძლიერი და მრისხანე ხმა კი ჯერ ისევ ჰქუხდა არე-მარეში.

— წარვედ ჩემგან, სატანა!—განიმეორა მახლობელმა მთამ. გადაიტაცა მეორემ. გაადიდა იორდანის კიდე-ნაპრალმა. ბანი მისცა შორეულმა გამოქვაბულმა. გუგუნით უკუაგდო დაბურულმა ტყემ და შეაფრთხიალა თავის წიაღში მრავალხმოვანი ფრთოსანნი. მაღლა აისროლა უხვად დანამულმა მინდორ-ველმა და, როგორც ყოვლად დასაწველ მსხვერპლის წმიდა კვამლი, ცელქმა ნიავმა შრიალით ძლვნად მიართვა უკვდავ მზეს, რომელიც უკვე ამოგოგდა და იმედით წახალისებული მხიარულად დაჰლიმოდა ბნელეთის სამეფოს.

„მდამ!.. მდამ!.. მდამ!.." გუგუნებდა იერუსალიმის ზარები. ლევიტელნი დილის მსხვერპლის მისართმევად იწვევდნენ მორწმუნეთ. მაგრამ ზეცა სდუმდა. მან უკვე შეიწირა და შეიწირა და შეიწყნარა უდიადესი მსხვერპლი სხეულზე სულის გამარჯვებისა. **ახელი,**

მოხელე სდუმდა და ვერაფერი პასუხი ვერ გასცა.

მოხელეს დუმილი—საბჭოსა და სათათბიროს მიმართ ცხოვრების პასუხი იყო: რამდენსაც მეტყველებს ეს ორი დაწესებულება—იმდენს სდუმს ცხოვრება.

ზოგჯერ ვკითხულობ სათათბიროს ანგარიშებს, თვალ-ყურს ვადევნებ იქაურ კამათსა და ხშირ „სკანდალებს“ და მიკვირს, რაზე ცხარობენ, რისთვის ჩხუბობენ და თავს იტეხენ საცოდავი დეპუტატები.

მაინც თითქოს რაღაც იდუმალი იმედი უღვივის გულში ხალხს, რომ სათათბირო ბოლოს და ბოლოს რამეს წარმოშობს.

გაგონილი გექნებათ ამბავი უშვილო მანდილოსნის შესახებ, რომელმაც მწარედ დაღრეჯილ ქმრის გახარება მოიწადინა, მუცელზე ბალიში გაიკეთა, თანდათან ბუმბულს უმატებდა, ქმარს ამ ყალბი ორსულობით ატყუებდა და სიამეს ჰგვრიდა.

სათათბირო და საბჭო, რუსეთის შუა ალაგას ეს საქვეყნოდ ამობერილი დაწესებულებანი, ამ ყალბ ორსულობას მოგვაგონებს, რომელსაც დეპუტატები თანდათან თავის სიტყვა-კაზმულობის ბუმბულს უმატებენ, ხალხს ატყუებენ და სიამეს ჰგვრიან.

საოცარია, ღმერთმანი! საკმაოა კრიტიკის მცირე ნესტარით შევეხოთ ამ ორ დაწესებულებას, და იმათი ფუქსავატი შინაარსი ჰაერში გაიფანტება, და ჩვენ მაინც გვჯერა, რომ ბუმბულით გატენილ პარლამენტიდან ...ბავშვი დაიბადება.

უნაყოფო მანდილოსანმა ბოლომდის შესძლო თავისი ქმრის მოტყუება: დანიშნულ დროს მშობიარობაც მოიგონა, მოილოგინა და გახარებულ ქმარს ერთი მიგდებული ბალღი თავის ახალ-დაბადებულ შვილად მიაჩეჩა.

ჩვენ უნაყოფო პარლამენტს კი ამ სიყალბის დამთავრების უნარიც არა აქვს, რადგანაც მთელ დედა-მიწის ზურგზე არც ერთი პარლამენტი არ მოიძებნება, რომელიც თავის ბალღს მისთვის მისაჩეჩებლად გაიმეტებს. ამ პარლამენტებს თავისი შვილები თვითონვე უყვართ და თავისავე ქვეყანაში ზრდიან, რასაკვირველია.

ხშირად შეითამაშებს ხოლმე პურიშკევიჩი პეტერბურგის პარლამენტის სხეულში და თვალ-უწვდენ რუსეთის ხალხს ამცნევს, რომ ამ დაწესებულების ორსულობა სრულიადაც ყალბი არ არის, რომ იმის სხეულში ცოცხალი ბავშვია, მთელი სახელმწიფოს მომავალი იმედი და ბედნიერება.

ხოლო პურიშკევიჩის უბედობაა, რომ ზომის დაცვა არ იცის, ისე თავხედად ჰირვეულობს დედის სხეულში, რომ სიბრალოს მუცელი ეშლება, ნაადრევი მშობიარობა მოსდის და გარედ ისვრის თავის უდროოდ დაბადებულ ძვირფას პირმშოს.

კიდევ ის უპირატესობა ჰქონდა მატყუარა მანდილოსანს, რომ ყალბი ორსულობის დროს იმას ქმარი არჩენდა; ბუმბულისაგან გაკეთებულ იმის ბალიშს კი არაფერი განსაკუთრებული საკვები არ სჭიროდა.

პეტერბურგის პარლამენტს კი, ყალბი ორსულობის დროს, მთელი რუსეთის ხალხი არჩენს და ბუმბულისაგან შეზავებულ დაწესებულებას საკმაოდ დიდი ხარჯი სჭირდება.

ეშმაკი მანდილოსანი თავისი გაბერილი ბალიშით მხოლოდ საკუთარ ქმარს ატყუებდა; პეტერბურგის ცბიერი პარლამენტი კი თავისი გაბერილი მჭერმეტყველებით მთელ ხალხს, ას ორმოც მილიონ კაცს, ატყუებს.

ყალბად დაორსულებულ დიაცის ბალიშს არც ერთი თავი არ ება; პეტერბურის პარლამენტს კი, ჩვენდა საუბედუროდ ორი სხეული აქვს და ორი ფუქსავატი თავი აბია.

**ილია ნაკაშიძე.**

## ჩინეთის რესპუბლიკა

**დეპეშები.**

**კულჯა.** რევოლუციონერების ჯარმა ცზენხესკენ დაიხია.

**მუკდენი.** იუანშიკაიმ არ შეიწყნარა ჩჟანსილუანის და ჯაოერსუნის თხოვნა. პირველი სამსახურიდან გადადგომას სთხოვდა, მეორე—პეკინს ჩასვლის ნებართვას. ლანთიანვეის დროებითმა მთავრობამ შეუთვალა, თავი დაანებე მანჯურთა საწინააღმდეგო მოქმედებასაო და დასძინა, გენერალ-გუბერნატორი ვალდებულია თავნებობა მოსპოსო. უთმოებს აღარა სდევნიან. ქალაქში მშვიდობიანობაა. ჩჟანცზოლინი რაღაც საეჭვოდ იქცევა და რესპუბლიკა ჯერ არ ულიარებია.

**ხანკოუ.** რადგან სამხედრო მინისტრს სუნქუს და მთლად სამინისტროს ჯარი ემდურის, უჩანში 15 თებერვალს მე-31 ბრიგადელები აჯანყდნენ. დასჭრეს და მოჰკლეს 70. სუნქუ მიიმალა. ის მაგივრად აირჩიეს მე-31 ბრიგადის უფროსი გენერალი ჩენგუანდი. წესიერება აღადგინეს.

**პეკინი.** საღამოს რვა საათზე იუანშიკაის ჯარი აჯანყდა. გაცხარებული თოფის სროლაა. ბევრი სახლი იწვის.

## არეულობა სპარსეთში

(დეპეშები).

**თავრიზი.** შუჯა-უდ-დოულესთან ჩალდოვლის თემის მამასახლისი მივიდა 300 მხედრითა და მორჩილება განუცხადა. იგი ექვსი წელიწადია, ადერბეიჯანის მთავრობას ეწინააღმდეგებოდა.

**თეირანი.** მთავრობის ჯარი შაჰრუდიდან რამიანისკენ წავიდა და მოჰამედ-ალის მომხრეები გააქცია. სალარ-უდ-დოვლე ათასის მხედრით ქამადანს მიდის. მთავრობა სალარ-უდ-დოულესთან შესაბრძოლებლად ბახტიარებისა და ფიდაების რაზმს ადგენს.

**ურმია.** (?) პატივსაცემად გამართულ ნადიმზე, გუბერნატორმა მცხოვრებთა სახელით სთქვა, სასიამოვნოა რუსის ჯარის აქ ყოფნაო და აღნიშნა, რუსეთის დახმარება აუცილებელია ირანის ასაღორძინებლადაო.

## ოსმალეთ-იტალიის ომი

**დეპეშები.**

**რომი.** „ტრიბუნის“ კორესპოდენტი იუწყება, ტრიპოლის კორესპოდენტთა სინდიკატმა გადასწყვიტა თავის გაზეთებს კორესპონდენციები დეპეშით აღარ გადასცენ. მიზეზ არ იციან.

„ტრიბუნას დანამდვილებით გაუგია, სახელმწიფოებს რუსეთის თაოსნობით მოლაპარაკება აქვთ ოსმალეთ-იტალიის ომის გათავების შესახებო.

რადგან ტრიპოლის საკითხის გამო სოციალისტთა საპარლამენტო ფრაქციაში უთანხმოებაა, ბისოლატი ფრაქციიდან გამოვიდა.

**სტამბოლი.** ხმა დავარდა, დარდანელთან იტალიის ესკადრა გამოჩნდაო, თუმცა ჯერ არ დაუდასტურებიათ ეს ამბავი, მაგრამ ყველას კი სჯერა.

**ხოდეიდა.** ეგვიპტესა და იტალიაში გავრცელებული ხმა, ვითომც იემენთან ბრძოლა მომხდარიყოს, ტყულია.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ.**

16 თებერვალი.

**გაფიცვის საკითხი.**

**ლონდონი.** ამბობენ, მაღაროების პატრონებმა გადასწყვიტეს მთავრობის პირობებზე დასთანხმდნენ და ჯამაგირის მინიმუმიც დააწესონო. ნორტუმბერლანდისა და უელსის მაღაროების პატრონები უარზე სდგანან, შოტლანდიელები კი ყოყმანობენ. მუშებს თათბირი აქვთ, ნაწილ-ნაწილ შეთანხმება მივიღოთ თუ არაო. სამხრეთ უელსისა, შოტლანდიისა და ნორტუმბერლანდში მოლაპარაკება ჯერ არ გაუთავებიათ. ერთმა მაღაროს პატრონმა პრესის წარმომადგენელს უთხრა, საჭიროა, დღესვე მოხდეს შეთანხმება. ამბობენ, მუშათა კომიტეტი შუაღამემდე ვერ გაათავებს ასკვიტთან მოლაპარაკებისაო. მთავრობამ გამოუცხადა, ხელფასის მინიმუმის საკითხის გადასაწყვეტად ოლქებში მუშათა და სამუშაოს მიმცემთა კონფერენცია უნდა მოხდეს მთავრობის წარმომადგენელთა მონაწილეობითაო. თუ კონფერენცია არ შედგა, მაშინ საკითხს მთავრობის წარმომადგენელნი გადასწყვეტენ. მუშებმა განაცხადეს, თუ ჩვენ მიერ მოთხოვნილ მინიმუმს არ დააწესებთ, სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ დავემორჩილებითო.

დილით მინისტრთა საბჭოს გაფიცვის თაობაზე თათბირი ჰქონდა. მუშათა კონფერენციამ გადასწყვიტა, ჩვენ პირობებში ნურაფერს დავთმობთო. ქვანახშირის მუშათა გაფიცვა გაძლიერდა. გაფიცულია 800 ათასი მუშა. მოლაპარაკება კი სწარმოებს, მაგრამ გაფიცვა მთელ ქვეყანას ედება. საღამოს გაიფიცებიან სომერსეტიტიდან დაწყებული ფაიფამდე მდებარე მაღაროების მუშები. მაღაროებში დარჩება მხოლოდ იმდენი მუშა, რამდენიც საჭიროა, მაღაროების წალეკვისაგან უზრუნველსაყოფად. სამრეწველო რაიონებში ქვა-ნახშირის ნაკლებობაა. შეფილდში რამდენიმე ლითონის ქარხანა დაიკეტა. 17 თებერვალს სხვა ქარხნებიც დაიკეტება. სარკინისგზო საზოგადოებებმა გამოუცხადეს, მატარებლების რიცხვს შევამცირებთო.

ქვანახშირის გადამზიდველებმა განაცხადეს, ჩვენც მივემხრობით გაფიცულებსაო. მაღაროების პატრონთა უმრავლესობამ ლონდონი მიატოვა.

**ალბანეთის ამბავი.**

**სალონიკი.** ალბანელი მაჰმუდ-ზაინი, იპეკის მცხოვრები, შალის თემის ბელადი, მხლებლებით მთებში გაიხიზნა. მის წინააღმდეგ გაგზავნილი ალბანელ-მოხალისეთა რაზმები დაამარცხა. მაჰმუდის დასაჭერად ჯარი გაჰგზავნეს.

**სემინარიის დაკეტვა.**

**ლვოვი.** რადგან რუსების წინააღმდეგ უკრაინელმა მოსწავლეებმა სემინარიაში მოძრაობა დაიწყეს და თავს არ ანებებდნენ მათ მტრობასა, სასულიერო სემინარია დაჰკეტეს.

**საფრანგეთი და მაროკო.**

**პარიზი.** პალატამ 50 ათასი ფრანკი გადასდო ფეცში (მაროკოში) მისიის გასაგზავნად. მისიამ მაროკოს ხონთქართან საპროტექტორატო ხელშეკრულება უნდა დასდვას. პუანკარემ განაცხადა პალატაში, ხონთქართან თვით მთავრობას ექნება მოლაპარაკებაო, ხელშეკრულებას კი პარლამენტს წარმოუდგენ დასამტკიცებლადაო.

**კრიტეს საკითხი.**

**ლონდონი.** სახელმწიფოები სერიოზულ მნიშვნელობას აწერენ კრიტეს ამბებს. თუ საკითხი გამწვავდეს იმ სახელმწიფოებს, ვინაც თავს იდვეს კუნძულის მშვიდობიანობის დაცვა, ჯარის გაგზავნა მოუხდებათო.

**რ უ ს ე თ ი**

**რედაქტორის სამართალში მიცემა.**

**პეტერბურგი.** ყადაღა დაადეს გაზეთ „ზვეზდას“ 16 თებერვლის ნომერს. რედაქტორი 1034 მუხლის ძალით სამართალში მისცეს.

**საყოველთაო სწავლის კანონ-პროექტის ბედი.**

საყოველთაო სწავლის შემოღების კანონ-პროექტის შესახებ შემთანხმებელ კომისიის წევრნი სავსებით ვერ შეთანხმდნენ.

**ახალი კანონ-პროექტები.**

მინისტთა საბჭომ ნება მისცა იუსტიციის მინისტრს, საკანონ-მდებლო დაწესებულებაში წარადგინოს სასიკვდილო დასახიჩრებისათვის სასჯელის გადიდების კანონ-პროექტი. მოიწონეს აგრეთვე კანონ-პროექტები ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობისა, უნივერსიტეტთან არსებულ დამხმარე დაწესებულებათა და უნივერსიტების სამოსწავლო ნაწილის თანხის გაძლიერებისა.

**გაზეთის დაჯარიმება.**

**მოსკოვი.** გაზეთ „სტოლიჩნაია მოლვას“ რედაქტორი 500 მანეთით დააჯარიმეს ობნინსკის წერილისათვის: „სახალხო განათლების მინისტრის სიტყვა სათათბიროში!.

## თეატრი და ხელოვნება

**სალიტერატურო საღამო სახალხო სახლში.** დღეს, საღამოს 8 საათზე, სახალხო სახლში პოეტი გ. ქუჩიშვილი სალიტერატურო საღამოს გამართავს. **მიხეილ წულუკიძე** წაიკითხავს ლექციას ილია ჭავჭავაძის **„განდეგილ“-ზე,** ხოლო **ილია ნაკაშიძე „ქალთა კითხვაზე“.** სალიტერატურო განყოფილებაში თავის ნაწარმოებს წაიკითხავენ: ახოსპირელი, დარია ახვლედიანი, დ. ნახუცრიშვილი, კ. მაყაშვილი, კონსტან-ანდრონი, რ. ბერიაშვილი, ნ. აზიანი. ი. ელეფთერიძე, გრ. დიასამიძე, ს. ფაშალიშვილი, პ. ირეთელი, ნ. ნაკაშიძე, ოლგა ლეჟავა, ნარკანი, კ. ჯაფარიძე, ტრ. რამიშვილი, ნ. ჩხიკვაძე, დ. აბდუშელი და გ. ქუჩიშვილი.

**საღამო ქართულს თეატრში.** დღეს, 18 თებერვალს, საზღვარგარედ გამგზავრების წინ **მხატვარი კოტე ქავთარაძე ქართულს თეატრში გამოსათხოვარს საღამოს ჰმართავს** შემდეგის პროგრამით: 1) ტფილისში პირველად დაიდგმება რუსულად 3 მოქმედებიანი ოპერეტკა. **მ. გ. იარონისა** და **ვ. კ. ტრავსკისა** „ტურფა ასულნი“, მუსიკა **პერპინოლისა** და 2) პირველად ტფილისში დაიდგმება ოპერეტკა ერთ მოქმედებად კრილოვისა „ღამე ქორწილის შემდეგ“, მუსიკა თ-დ ბეგთაბეგოვისა.

თეატრის ფოიეში გამოკიდული იქნება ბ-ნ ქავთარაძის უკანასკნელი ნახატები.

**ქართული თეატრი.**

**ლევ ტოლსტოის „ცოცხლადვე მკვდარი“ პირველად ტფ. ქართულ სცენაზე.**

რუსებსვე ანდაზა აქვთ, რომ: „პირველი ბლინი მოკუნტული გამოვაო“... როგორც ჩვენ მოველოდით, არც ისეთი „მოკუნტული“. (დასაწყისი) გამოვიდა პირველად წარმოდგენილი (ხუთშაბათს, 16 თებერვალს), ახლად შემდგარ ქართულ მსახიობთა ამხანაგობის-მიერ, ზემო აღნიშნული, დასადგმელად ძნელი, პიესა. იმდენად დასაწყისი, არ იყო შედარებით, ჯერ ერთი ტფილისშივე ამ პიესის რუსულათ წარმოდგენებთან და მეორე კიდევ თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ თუმცა ეს პიესა კაცთა დიდებულ მესაიდუმლეს-ლევ ტოლსტოის კალამს ეკუთვნის, მაგრამ იგი განსვენებულ მწერალს დაუმუშავებელი დარჩა; როგორც სასცენო ნაწარმოები მოისუსტებს, ცოტა არ იყოს გაჭიანურებულია, მოკლებულია, მაყურებლის გამახალისებელ ცოცხალ სცენებს და თუ გინდათ ამ პიესამ ჯეროვანი შთაბეჭდილება მოახდინოს, საჭიროა მსახიობთა დიდი მომზადება, დაკვირვებული და მწყობრი თამაში. პიესის შინაარსის გადმოცემას არ შეუდგებით, რადგანაც იგი, სახალხო გაზეთის დამატებებში იბეჭდებოდა და მას იცნობს ჩვენი მკითხველი. რაც შეეხება ამ პიესის ჩვენ სცენაზე დადგმას, რა თქმა უნდა, ასრულებისას ბევრი ნაკლი ეჩნეოდა, რომელთა აცილებაც ვფიქრობთ, არც ისრე ძნელი უნდა იყოს.

ჯერ ერთი ჩვენ მსახიობთ უნდა ახსოვდეთ, რომ თითქმის მთელ ამ პიესის მსვლელობის დროს ერთნაირი სიწყნარე და სიმშვიდე უნდა სუფევდეს სცენაზე, ტოლსტოვისებური ყველასადმი და ყველაფრის მიტევების სული უნდა ტრიალებდეს. მაგალითად, ისრეთ დისონანსს (ყვირილს და შამათას), რაიც სტატისტებმა გამართეს მეხუთე მოქმედების პირველ სურათში („ტრაქტირ ში“). იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. პიესის რეპლიკაში ნაჩვენებია ძხოლოდ, რომ ტრაქტირში „უკანა მაგიდასთან მოისმის ქალის კივილი. ტრაქტირის პატრონს და პოლიცელს გაჰყავთო“. ჩვენმა სტატისტებმა კი ერთი მუშტი-კრივი და შამათი გამართეს და შემდეგ ისე უცბად გარუმდნენ. მაგრამ ეს შედარებით წვრილმანია და მსხვილმანი კიდევ იმაში გამოიხატება, რომ მთელი პიესის უმთავრესს ღერძს **ფედია პროტასოვი** შეადგენს. პიესის ამ დედა-ბოძ გმირის ჯეროვანი დახასიათებისკენ ყოფილა ავტორის უდიდესი ყურადღება მიქცეული, რადგანაც ამ ფედია პროტასოვის პირით და მოქმედებით პსურს ავტორს გამოსთქვას ზოგი რამ თავისუს „გულის ნადებისა“. და სწორედ ამ ფედიას როლის აღმსრულებელმა, ბ. ალ. იმედაშვილის თამაშმა ჩვენ სავსებით ვერ დაგვაკმაყოფილა, იმისდა მიუხედავად, რომ ბ. იმედაშვილს, ამ როლის აღსრულებაში, ქუთათურები დიდის ქებით იხსენიებდნენ. ჯერ ერთი გარეგანი მხარე: იმას არც პარიკი და თითქმის არც არავითარი გრიმი არ გაეკეთებინა და მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ბ. იმ—შვილს, თავისი ბუნებრივი გარეგნობით, ძალიან ცოტა მსგავსება აქვს იმ რუსის დიდ არისტოკრატის წარმომადგენელთან, როგორც ავტორისაგან ფედიაა გამოყვანილი. ბოლო ორ მოქმედებაში ხომ ის სულ არ ჰგავდა იმავე არისტოკრატ-ფედიას — დაცემულს, „გაბოსიაკებულს“, არამედ ის უფრო ჩვენებურ, — აი შუა ბაზრელს — ნანოქრალს ჰგავდა. მერმეც თვით თამაში, მიხვრა-მოხვრა, „ორთითისებური“ სიარული, ხელების შლა, ან მათი მალი-მალ თავზე დადება, თვალების ტრიალი, — მეტად კილო-აწეული (გამომძიებელთან) ლაპარაკი, — ყველა ეს რაღაც არა ფედიაური იყო. ფედია არის წყნარი, მშვიდი, ყოველივეს მპატიებელი და მოსიყვარულე პიროვნება. უფრო მეტი ბუნებრივობა ეტყობოდა ფედიას—იმედაშვილს აბრეზკოვთან სცენის დროს.

მეორე პასუხ-საგები როლი—ბოშა მაშასი, ახალგაზრდა, ქ. ც. ამირაჯიბისთვის მიენდოთ, თუმცა ეს როლი ზედ-გამოჭრილი იქნებოდა ქ. ტ. აბაშიძისათვის, რომელიც მსახიობთა ამხანაგობაში შედის და არ ვიცით რა მიზეზით არ უკისრნია ეს როლი. წელივით მოქნილის, მთელის ბოშათა ხოროს თვალის—მაშას განსაპიროვნებლად ქ. ამირაჯიბს ძალა არ შესწევდა. მასში, რუსები რომ იტყვიან შესაფერი ცეცხლი არა ღვიოდა. ამას გარდა, ამ ახალგაზრდა და საიმედო მსახიობმა ქალმა საზოგადოდ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ეგრედ წოდებულ პლასტიკას, მიხვრა-მოხვრას. ამ მხრივ იმას დიდი მუშაობა სჭირია.

ყველაზე მეტად, მოთამაშეთა შორის, საზოგადოებას მოეწონა კარენინი—გუნია, მართლაც იმას ყველა დანარჩენებზედ მეტი ბუნებრივობა ეტყობოდა: ქცევა-ლაპარაკი, სიდინჯე—აშკარად მოწმობდნენ, რომ ის ამაყ არისტოკრატიის წარმომადგენელი იყო.

ქ. კარგარეთელს (ვიქტორის დედას) და კ. მესხს (აბრეზკოვს) არა უშავდათ რა, რომ როლები გეებჯითებინათ. ქ. დავითაშვილსაც როლის ჯეროვანად არ ცოდნა ხელს უშლიდა მეტის მოფიქრებით გეეპიროვნებინა პროტასოვისა. იზნენილი არადელი, და ქ-ნი ჩერქეზიშვილი (მაშოს მშობლები) გადამეტებულის კამათით და ხელების შლით-შემოცვივდნენ პროტასოვის ბინაზედ. განსაკუთრებით ეს ნაკლი ქ. ჩერქეზიშვილს ემჩნეოდა. ამ საღამოს ქ. ქილარჯიშვილი გვარიან ბუნებრივი გვეჩვენა ალექსანდრა პავლოვნას როლში. ვ. აბაშიძემ (არტემიევმა) პოლიციელის დასაძახებლად, ტყუილად მიჰმართა სახტვენს. ნამდვილ სასამართლოებში ჩვენ მიერ არა ერთხელ ნახული დარაჯი იყო ბ. ზ. საფაროვი. კარგი ვექილი იყო ბ. ი. ივანიძე. გამომძიებელ—მგალობლიშვილს სიდინჯე აკლდა და ნ. ციციშვილიც (ალექსანდროვი), შეუფერებელ გრიმის გარდა, მეტად ყვიროდა და ხელებს აქნევდა.

ბოშათა ხორო, როგორც ხმა თამაშის მხრივ ისე ჩაცმულობით, მდარე ღირსებისა იყო.

ანსამბლს კერძოდ და რეჟისორის ნაწილს საზოგადოდ მაინც და მაინც არა უშავდა რა. მაყურებლებით თეატრი სავსე იყო. წარმოდგენა თორმეტის ნახევარზე გათავდა.

**გ. ა—ლი.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

## გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა**

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)
(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., ხაღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარიში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარიში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 11 წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარიში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარიში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ს, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათუმიდან:** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 07, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. [illegible] მე-5 და მე-6 ყველა ვაგონები პლაცკარტიანი (საკუთარ. საწოლებით).

**გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.**
(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის, მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარაკსეობით შუაღამეს.

**უფასო საექიმო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| .—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10, 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715) |

**ქალაქის საავადმყოფოები**

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

—::—

**სასანიტარო ექიმები**

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 51 და მაჯლაკანის მოედანზე.

## განცხადებანი

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“—11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგახაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
**კბილის** საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასმა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
**ი. ა. ფრანკი:** 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ. 1074.17)